საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 431

08 06 20/0 წ.

თბილისი

ზოგადი განათლების (გარდა ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასისა) ცალკეული კლასის/კლასების, ტრიმესტრის/ტრიმესტრების ან/და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამების ექსტერნატის ფორმით ჩაბარების გამოცდების ჩატარებისა და ექსტერნად რეგიტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 5 მარტის #15/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერთიფიცირების დებულების" მე-7 მუხლების პირველი პუნქტის და მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ზოგადი განათლების (გარდა ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასისა) ცალკეული კლასის/კლასების, ტრიმესტრის/ტრიმესტრების ან/და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამების ექსტერნათ განათლების მიღებაზე ექსტერნატ მსურველთა რეგისტრაცია დასრულდეს 2010 წლის 22 ივნისამდე;

2. ზოგადი განათლების (გარდა ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასისა) ცალკეული კლასის/კლასების, ტრიმესტრის/ტრიმესტრების ან/და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამების ექსტერნატის გამოცდები ჩატარდეს 2010 წლის 30 ივნისიდან 2010 წლის 10 ივლისის ჩათვლით;

3. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების განთავსება სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

4. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის რეგიონული კოორდინაციის სამმართველოს ამ ბრძანების გაცნობა საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

დიმიტრი შაშკინი